

ინფორმაცია პაციენტებისთვის

თქვენი ექიმი ხშირად ნიშნავს ლაბორატორიულ კვლევას, რომლისთვისაც საჭიროა შარდის შეგროვება 24 საათის განმავლობაში.


მნიშვნელოვანია, რომ შარდის სრულად შეგროვდეს 24 საათის განმავლობაში.

ასევე მნიშვნელოვანია ზუსტად მიუთითოთ 24-საათიანი შარდის მოცულობა და შეგროვების პერიოდი. ამ ინფორმაციებზე დამოკიდებული ლაბორატორიული ტესტის სიზუსტე!

ამ გზამკვლევში ვეცდებით ავიხსნათ: როგორ შეაგროვოთ შარდი, მონიშნოთ სინჯები და სწორად შეინახოთ გამოკვლევაზე.

ლაბორატორიისგან დაგჭირდებათ:

- 24-საათიანი შარდის შესაგროვებელი კონტეინერი
- შარდის სინჯარა მასალის ასაღებად
- 2 შარდის სატრანსპორტო კონტეინერი
- 1 სატრანსპორტო მაცივარი



როგორ ხდება 24-საათიანი შარდის შეგროვება?

რა უნდა იცოდეთ:

- სატრანსპორტო მაცივარი შეინახეთ მაცივრის საყინულეში
- შეგროვების პერიოდში, მთელი დღის განმავლობაში უნდა დალიოთ დაახლოებით 1,5 – 2 ლიტრი სითხე;

როგორ აგროვებთ შარდს:

- შარდი გროვდება 24 საათის განმავლობაში, მაგალითად:
 - პირველ დღეს = დანყება, 8:00
 - მეორე დღეს = დასრულება, 8:00
- შარდი შეაგროვეთ სუფთა ქურჭელში (რეკომენდებულია სპეციალური კონტეინერი, სინათლისგან დაცული, შარდის მოცულობის შესაფასებელი დანაკლებებით);
- შეგროვების პერიოდი იწყება დილით, გაღვიძების შემდეგ. შარდის ბუშტი ბოლომდე დაცალეთ (ტუალეტში). ეს შარდი არ გროვდება, მაგრამ ჩაინიშნეთ დრო (მაგ: 8:00); შეგროვების პერიოდის ათვლა აქედან იწყება;
- შარდის ყველა შემდეგი ულუფა შეაგროვეთ 24-საათიანი შარდის კონტეინერში, მეორე დღის დილის შარდის ჩათვლით. შეგროვების პერიოდი ამით მთავრდება. ამიტომ, გთხოვთ, მონიშნოთ ეს დროც (მაგ: 8:00);
- შეგროვების პროცესში შარდი შეინახეთ გრილ ადგილას ან მაცივარში (2-8°C).

რა ხდება შეგროვების შემდეგ?

1. შარდის მოცულობის შეფასება


შარდის შესაგროვებელ კონტეინერს აქვს შკალა, რომელზეც შეგიძლიათ შარდის მოცულობის წაკითხვა. **გთხოვთ, ჩაინიშნეთ 24-საათიანი შარდის მოცულობა, სიზუსტე მნიშვნელოვანია!**

2. შეგროვებული შარდი გადაურიეთ

შარდის შესაგროვებელი კონტეინერი ნაზად, მაგრამ გულდასმით გადაურიეთ. თუ ერთზე მეტი შარდის შესაგროვებელი კონტეინერი გამოიყენეთ, მაშინ, ჯერ ყველა კონტეინერის შიგთავსი ერთ დიდ, სუფთა ქურჭელში გააერთიანეთ და შემდეგ გადაურიეთ.

3. სინჯის აღება

შეგროვებული შარდი ამოიღეთ სპეციალური სინჯარით (მაგ: შარდის მონოვეტი, 10 მლ). შარდის სინჯარას მოხსენით თავსახური და მიამაგრეთ „წვერი“. შარდის სინჯარა წვერით ჩაყავით შარდის შესაგროვებელ კონტეინერში და შარდით ბოლომდე შეავსეთ 2 შარდის სატრანსპორტო კონტეინერი. კონტეინერებს მჭიდროდ დაახურეთ თავსახურები.



4. სინჯის იდენტიფიკაცია

კონტეინერებს დაანერეთ პაციენტის სახელი, გვარი და შეინახეთ მაცივრის საყინულეში. ლაბორატორიაში მოსატანად, მოათავსეთ 2 გაყინული შარდის კონტეინერი წინასწარ გაყინულ სატრანსპორტო მაცივარში.

გასათვალისწინებელია:

- ყველა შარდი უნდა შეგროვდეს გამონაკლისის გარეშე, თუნდაც ნაწლავთა მოქმედების დროს;
- შარდის შესაგროვებელი კონტეინერი შეინახეთ შეძლებისდაგვარად გრილ ადგილას;
- თუ შარდის რომელიმე ულუფა გამოტოვებულია შეგროვების პერიოდში, შეგროვება ხელახლა უნდა დაიწყოთ სხვა დროს.